ახალგაზრდა ეროვნული

₾ ქართული ფულის 1921 წლიდან

სამშაბათი
9
ოქტომბერი
№ 110 (11596)
1990

ახალგაზრდული საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

ფასი 3 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1000
ათასი მანეთი
ასი ათასი მანეთი
ასი ათასი (100) მანეთი
ასი ათასი (100) მანეთი
ასი ათასი (100)

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვჭირდება სიბრძნე და პოლიტიკური გამჭრიახობა

დღეს მთელს საქართველოში ეროვნული მოძრაობის არნახული აღმავლობაა. მთელი ქართველი ხალხი, საზოგადოების ყველა ფენა, მცირე გამონაკლისის გარდა, აქტიურად არის ჩაბმული საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის წმინდათაწმინდა საქმეში. ეს ბუნებრივიცაა. ქართველი კაცი, რა საზოგადოებრივი მდგომარეობაც არ უნდა ეკავოს მას და რა პოლიტიკურ შეხედულებასაც არ უნდა იზიარებდეს, განსაცდელის ჟამს ვალდებულია, იდგეს თავის ერთან, განუყოფლად იზიარებდეს მის ჭირსა და ლხინს.

ამ თვალსაზრისით, საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობა საგრძნობ პასიურობას იჩენს. ალბათ, წინაპირობა მიერ მემკვიდრეობით დატოვებული ცოდვები და ზოგიც საკუთარი, გარკვეულ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენს მის პოზიციაზე.

საქართველოს სუკ-მა უკვე მერამდენედ საჯაროდ განაცხადა, რომ დგას ეროვნულ პოზიციებზე, მაგრამ ნიშანდობლივია ის ფაქტი, რომ მის განცხადებებში არც ერთხელ არ არის ნათქვამი, რომ ის დგას საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის პოზიციაზე. სუკ-ში ჩატარებული უმნიშვნელო გარეგნულ კოსმეტიკურ ოპერაციას მისი პოლიტიკისა და ფუნქციების ცვლილებები არ მოჰყოლია. ის კვლავ რჩება კომუნისტური პარტიის ნების აღმასრულებლად და თავისი საქმიანობით უპირისპირდება სხვა პოლიტიკურ პარტიებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს და მთლიანად ეროვნულ მოძრაობასაც. მისი ასეთი მოქმედება, საქართველოს კონსტიტუციის უხეში დარღვევაა, რომელიც რესპუბლიკაში აკანონებს მრავალპარტიულ სისტემას და უარყოფს კომუნისტური პარტიის მონოპოლიას სახელმწიფოს მართვის საქმეში. ეს კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მოსაზრების სისწორეს, რომ აუცილებელია საამართალდამცავი ორგანოების სრული დეპოლიტიზაცია. დიდი ხანია ეს საკითხი მომწიფდა, მაგრამ კომიტეტის ხელმძღვანელობა კვლავ ყოყმანისა თუ შეგნებული უმოქმედობის პოზიციაზე დგას. მე პირადად, ჩემი მოქალაქეობრივი მოვალეობის კარნახით, „ზემოდან“ დაშვებული ნებართვის გარეშე უკვე გამოვედი კომუნისტური პარტიის რიგებიდან.

სუკ-ში კვლავ ძველებურად გრძელდება კადრების შერჩევის მანკიერი მეთოდი, რომლის მიხედვითაც, ახალი თანამშრომლების მიღების დროს უპირატესობას ანიჭებენ რუსული ორიენტაციის მქონე პირებს. ეს, თქმა არ უნდა, სრულიად სხვა მიზნებს ისახავს, ვიდრე შეშარიტი მამულიშვილებით კომიტეტის დაკომპლექტებას. არაორაზროვანია რუსეთთან კადრების გაცვლის პოლიტიკაც, რომელმაც ასეთი ფართო ხასიათი მიიღო ამ ბოლო პერიოდში. საქართველოს სუკ-ის ქართველ თანამშრომლებს რამდენიმე წლით გზავნიან რუსეთში სამუშაოდ, მათ ნაცვლად კი იქიდან ჩამოჰყავთ რუსი ეროვნების თანამშრომლები. რა ახსნა შეიძლება მიეცეს ამ ფაქტებს? ვფიქრობ, პასუხის გაცემა ძნელი არ იქნება.

საქართველოში დღეს უმძიმესი პოლიტიკური ვითარებაა. ჩვენი ერი ისტორიის გზაგასაყარზე დგას. დღეს გვჭირდება ჩვენ ერთობა ისე, როგორც არასდროს, გვჭირდება სიბრძნე და პოლიტიკური გამჭრიახობა. დღეს უნდა დავამტკიცოთ, რომ ღირსნი ვართ, ვიწოდებოდეთ ჩვენი დიდი წინაპრების შთამომავლებად.

ყველა ქართველი, ყველა, ვინც ქართულ მიწაზე ცხოვრობს, საქართველოში მოქმედი ყველა ორგანიზაცია და პოლიტიკური მიმდინარეობა, მხოლოდ საქართველოს ინტერესებს უნდა ემსახურებოდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ჩვენს მიწაზე ადგილი არა აქვს.

წინამდებარე წერილი რედაქციაში წასაღებად უკვე გამზადებული მქონდა, როდესაც წავიკითხე ჩემი ოცდახუთი კოლეგის განცხადება, მომიხდა ზოგიერთი კორექტივის შეტანა ჩემს წერილში, რომ უკვე ნათქვამის განმეორება არ გამომსვლოდა. მთლიანად ვუჭერ მხარს მათ სამომავლო გეგმებს, მაგრამ ერთ რამეში კი ვერ დავეთანხმები: სუკ-ის რიგებიდან გამოსვლა მე ბრძოლის ველის მიტოვებად მესახება. ვიდრე საქართველო რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იქნება, მანამ იარსებებს სუკ-იც. თუ მისი რიგებიდან გამოვლენ პატრიოტულად განწყობილი პირები, მაშინ ხელოვნურად შექმნილ ვაკუუმს ანტიეროვნული ძალები შეავსებენ და, როგორც იტყვიან, „უპატრონო ეკლესიას ეშმაკები დაეპატრონებიან“, რაც ეროვნულ მოძრაობას დამატებით სიძნელეებს შეუქმნის. ვერც ალტერნატიული ეროვნული უშიშროების ორგანოების შექმნა გადაწყვეტს პრობლემას, რამდენადაც მას არ ექნება შესაძლებლობა წინ აღუდგეს სუკ-ის „უსაძლო“ პროვოკაციებს ან რეპრესიებს ეროვნული მოძრაობის მიმართ, ამდენად, ეროვნული ძალების გამოსვლა სუკ-ის რიგებიდან სრულიად საწინააღმდეგო შედეგს მოგვცემს.

დრო არ ითმენს. საჭიროა, ყველა მამულიშვილი, ვისთვისაც ძვირფასია ჩვენი სამშობლოს ბედი, მხარში ამოვუდგეთ ეროვნულ მოძრაობას და როგორც პოეტი ხატოვნად ამბობს: „დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია“. დიახ, დავდგეთ არა მარტო სიტყვით, არამედ საქმით, რათა ჩვენი წვლილი შევიტანოთ ამ დიდ საქმეში.

მე პირადად საჯაროდ ვაცხადებ, რომ:

— სავსებით ვუჭერ მხარს ეროვნულ მოძრაობას, საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის საქმეში.

— მოვითხოვ დამოუკიდებელი ეროვნული უშიშროების ორგანოების შექმნას, რომლის უპირველესი მოვალეობა მოცემულ ეტაპზე იქნება ეროვნული მოძრაობის დაცვა მტრული ძალების ხელყოფისაგან.

— დაუყოვნებლივ განხორციელდეს უშიშროების ორგანოების სრული დეპოლიტიზაცია.

— ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში ვიხელმძღვანელოთ პრინციპით: „მე ვარ ჩემი ერის მსახური და არა ჩემი ერის მთავრობისა“.

თამაზ ადამია,
საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელი.

გთხოვთ, მონორარი გადარიცხოთ მერაბ კოსტავას სახელობის ფონდში.

დღეს ჩვენ მკითხველთა სამსჯავროზე ორი წერილი გამოგვაქვს. ორივე მათგანის ავტორი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელია. მათი პოზიცია და მოთხოვნები დრომ უკვე დააყენა დღის წესრიგში. შეიძლება ბევრმა იცის, რომ ხომხეთის უშიშროების სახკომმაც წამოაყენა დეპოლიტიზაციის მოთხოვნა.

ჩვენ? აქაც ერთ-ერთი ბოლო უნდა ვიყოთ?

რედაქცია იმედოვნებს, რომ ამ წერილებს ხუკი გამოხმაურების გერეშე არ დატოვებს.

გავხსნათ კვანძი

ავტორის მოკლე ბიოგრაფიული ცნობა

დაიბადა 1956 წელს. 1973 წელს დაამთავრა საშუალო სკოლა, 1982 წელს — ჭუთაისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ხიდამოს განყოფილება, მუშაობდა ხაავტომობილო ქარხანაში ავტოშემკეთებლად, შემდეგ კომკავშირულ სამუშაოზე. 1985 წლიდან სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თანამშრომელია. 1981 წლიდან 1990 წლის სექტემბრამდე იყო სკკპ წევრი.

უშიშროების ორგანოებში ჩემი მუშაობის ხუთი წელი დაემთხვა საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების განვითარების ისეთ პერიოდს, როდესაც საშუალება შეიქნა მოვლენები დაინახო მთლიან დინამიკაში და როდესაც სიტუაცია შედარებ ორივე მხრიდან აჩვენებს.

ჩემი სურვილია გაგიზიაროთ ზოგიერთი მოსაზრება იმ საკითხებზე, რომლებიც აუცილებელია იცოდეს ყველა ქართველმა ადამიანმა, რამეთუ ტაბუდადებული დაწესებულება — საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი — ეს არის სამსახური, სადაც თანამშრომელთა უმეტეს წილს ქართველები შეადგენენ.

დღეს ძალიან ბევრს კამათობენ უშიშროების კომიტეტის შესახებ, თხზავენ ათასგვარ ჭორს და ლეგენდებს მის საქმიანობაზე, მიტინგებზე ითხოვენ მის რეორგანიზაციას, დაშლას და ა. შ. ამასთან, ცხადია, რომ სახელმწიფოს პიროებებში აუცილებელია ხელისუფლების აღნიშნული ინსტიტუტი. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ საქართველოს გეოგრაფიულ მდებარეობას, იმ პოლიტიკურ სიტუაციებს, რასაც დღეს ადგილი აქვს მსოფლიოში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ იმ პრინციპებით, რა პრინციპებითაც დღეს არსებობს საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, ის ქართველ ხალხს მართლაც არა სჭირდება.

დღეს საქართველოში ღრმა კრიზისს განიცდის სახელმწიფო ხელისუფლების ყველა ორგანო და მათ შორის უშიშროების კომიტეტიც. თავი და თავი ამ ღრმა კრიზისს ყველას კარგად მოეხსენება, მაგრამ დღესაც, როდესაც კომუნისტური პარტია ცდილობს თავისი ჰეგემონური როლი შეინარჩუნოს საზოგადოებრივ ცხოვრებასა და საქმიანობაში, ჯიუტად ცდილობს ხელიდან არ გაუშვას ნაცადი სანდო იარაღი უშიშროების კომიტეტის სახით და კვლავ აამოქმედოს ის მისი პარტიული მიზნების განსახორციელებლად, მიზნებისა, რომლებსაც ბევრი არაფერი აქვს საერთო ხალხის ეროვნულ ინტერესებთან.

გარდაქმნა, რომელიც პირდაპირ თუ ირიბად შეეხო ყველას და ყველაფერს, ჯერჯერობით გვერდს უვლის თვით პარტიას და აქედან გამომდინარე უშიშროების კომიტეტს. საუბარი გარდაქმნაზე, დემოკრატიზაციაზე და საჯაროობაზე ნაადრევია.

ეროვნული მოძრაობის ახალ ეტაპზე გადასვლამ, ხალხის პოლიტიკური დონის ამაღლებამ ბევრი თეთრი ლაქა გამოაჩინა. სოციალისტური სისტემის სამოცდაცამეტი წლის არსებობის შანძილზე უშიშროების სამსახური, სხვა საქმესთან ერთად, ასრულებდა პარტიის დამსჯელი ორგანოს ფუნქციას და მათი ამ სისხლიანი საქმის კვალი დღესაც ჰზარავს კაცობრიობას.

უშიშროებას ერთპარტიული ზედამხედველობა არ ესაჭიროება, მას ქვეყნის პარლამენტმა უნდა მოუაროს და სანამ ის არ განთავისუფლდება ერთპარტიული დოქტრინისაგან, პრობლემა გადაუჭრელი დარჩება.

დღევანდელი საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, სწორედ რომ ვალდებულია ბოდიში მოიხადოს ქართველი ხალხის წინაშე და მომავალში ემსახუროს ხალხს, და არა ერთ რომელიმე პარტიას.

ამასთან ისმის კითხვა: ვინ უნდა გააკეთოს ეს? — ალბათ მისმა ხელმძღვანელობამ. მიუხედავად ღრმად გათვითცნობიერებისა, იმისა, რომ ეს აუცილებელი და საჭიროა, ისმის მორიგი კითხვა: აძლევენ კი ამის უფლებას? არა! არადა უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობა, როგორც ჩანს, ჯერ ვერ გამოსულა პარტიის და ცენტრის ტყვეობიდან, ვერ იღებს თავის თავზე დამოუკიდებლად მოქმედების პასუხისმგებლობას. სჭირდება ასეთი უშიშროება ქართველ ხალხს? — ალბათ, არა.

საქართველოში არ არსებობს დაწესებულება, უწყება, რომელიც ისე ძლიერ იყოს მიჯაჭვული ცენტრთან, როგორც უშიშროების კომიტეტია. „ნომენკლატურობის“ მანე ტრადიცია აქ ჯერ კიდევ ძლიერ ფესვებზე დგას.

უნდა ვიფიქროთ, რომ საქართველოს უშიშროების კომიტეტში ცენტრიდან გამოგზავნილი პირების მიერ წამყვანი თანამდებობის დაკავება არის სწორედ პროცესების იქიდანვე წარმართვის მცდელობა.

პირველ რიგში მხედველობაში მაქვს საკადრო პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები. ხშირად უპირატესობით სარგებლობს არა პროფესიონალიზმი და ერუდიცია, ერისშვილობა და მამულის სიყვარული, არამედ მთავარია ცენტრისა და მისი პოლიტიკის უცილობელი შესრულება. ცხადია, ეს ტენდენცია გარკვეულ საშიშროებას უქმნის ქართველ ხალხს და თვით უშიშროების პატიოსან და წესიერ თანამშრომლებს, რომლებიც ჯერ კიდევ შემორჩა ამ სამსახურს.

ძნელია ამ კვანძის გახსნა, მაგრამ უშიშროების კომიტეტის ყველა თანამშრომელი დღეს უნდა შეეცადოს, რომ თუ ჩვენ გვინდა, რომ ხალხი გვენდობოდეს, პატივს გვცემდეს, ხმა აიმაღლოს, რათა თავი დავაღწიოთ ცენტრის დიქტატს და რომ ამ სამსახურს ხელმძღვანელობდნენ პროფესიონალი ერისშვილები და არა პარტიული ფუნქციონერები.

პარადოქსულად ჩანს, მაგრამ ასეა, დღეს უშიშროების კომიტეტს სჭირდება მხარდაჭერა და თანადგომა საზოგადოების პროგრესული ძალების, ძალების, რომლებიც ხვალინდელ თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოზე ფიქრობენ.

თენგიზ ხურციძე

გთხოვთ, მონორარი გადარიცხოთ დემოგრაფიული საზოგადოების ფონდში.

წერილი „ახალგაზრდა ივერიელის“ რედაქტორს

დიდად პატივცემულო ბატონო რედაქტორო!

როგორც მოგეხსენებათ, 6 ოქტომბერს, შაბათს მარტვილში დიდი ზეიმი — ჭყონდიდლობა გაიმართა. წირვას, რომელიც 12 საათისთვის დამთავრდა, და სეზიემოდადგმას შორის, რომელიც ალხინოში დაიწყო 17 საათზე, თავშეყრილ საზოგადოებას თავისუფალი დრო ჰქონდა. ალხინოში, დადიანების საზაფხულო რეზიდენციის წინ, მშვენიერ პარკში, 14 საათიდან უკვე შეკრებილი იყო, სულ ცოტა, 30 ათასი ადამიანი, რომელიც საზეიმო ნაწილის დაწყებას უცდიდა. როგორც სპეციალობით ფილოლოგს და ქართული კულტურის ისტორიკოსს, მე, ბუნებრივია, სურვილი მქონდა რამდენიმე სიტყვა მომეხსენებინა შეკრებილი საზოგადოებისათვის იმის თაობაზე, რა მნიშვნელობა ჰქონდა თავის დროზე საქართველოსათვის ჭყონდიდელთა მოღვაწეობას და რაა საერთო მაშინდელი საქართველოს ამოცანებსა და დღევანდელი საქართველოს ამოცანებს შორის. ვთხოვე მიკროფონი იმას, ვის ხელთაც იგი იყო, მაგრამ მტკიცე უარი მივიღე იმ საბაბით, რომ ჩემი გამოსვლა დაარღვევდა ზეიმის კომპოზიციას — ზეიმისას, რომელიც მხოლოდ სამი საათის შემდეგ უნდა დაწყებულიყო!

ამ ფაქტს, ალბათ კომენტარი არ სჭირდება. მე მგონი, მისი მიზეზი არის მხოლოდ შიში, ვაი თუ მავანისა და მავანის გამოსვლის შემდეგ საქართველოს სახალხო ფრონტმა ცოტა მეტი ხმა მიიღოს საქართველოს უზენაესი საბჭოს მომავალ არჩევნებზე, ხოლო კომპარტიამ, ორგანიზაცია „სტალინმა“, „თანხმობისა და აღორძინების კავშირმა“ ან აგრარიკოსთა კავშირმა — ცოტა ნაკლებიო. გთხოვთ, თქვენი გაზეთის საშუალებით შეახსენოთ მკითხველებს, **რომ** ჩვენი მარადიული მიზნების კიდევ ერთხელ გაცნობიერება და ამ მიზნებისკენ სწრაფვაში ჩვენი ურთიერთსოლიდარობის კიდევ ერთხელ დემონსტრირება არახაკლებ მნიშვნელოვანი ამოცანაა, ვიდრე საქართველოს სახალხო ფრონტის საარჩევნო ინტერესების შეზღუდვა (რაც ჯამში, ისევ საქართველოს ინტერესების შეზღუდვაა). განა სირცხვილად და მტრის გასაცინებლად არ გვეყოფა ის გარემოებაც, რომ საარჩევნო თემას, რომელიც დღეს ჩვენი ინფორმაციის საშუალებებისათვის ძირითადი თემა უნდა იყოს, ჩვენს პრესაში თუ ტელევიზიაში ნაკლები ადგილი ეთმობა?!

პატივისცემით
ნოდარ ნათაძე.



ახალგაზრდული კომერციული ფირმა „კომერსანტი“ და მცირე საშუამავლო საწარმო „ალფა“ გთავაზობთ: მსოფლიოს ნებისმიერი ფირმის უახლოეს კომპიუტერებს ხელმისაწვდომ სახელშეკრულებო ფასებში (საბჭოთა მანეთებზე, როგორც გადარიცხვით, ისე ნაღდი ანგარიშით).

ცნობებისათვის: კოსტავას ქ. №14. ტ. 93-32-86. 93-38-52, 93-31-49.

ალვადგინოთ ეროვნული ფული

ქართული სახელმწიფოებრიობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ერთ-ერთ საიმედო ნივთიერ წყაროდ გვევლინება ქართული ნუმიზმატიკა, რომელიც ძველი წელთაღრიცხვის VI საუკუნიდან იღებს სათავეს.

ქართული ფულის ისტორიაში ორი ძირითადი ეტაპია: ნუმიზმატიკური, რომელიც მოიცავს 25 საუკუნოვან დიაპაზონს და ბონისტიკური, რომელიც სულ ექვსწლიან (1918-1924 წ.წ.) ისტორიულ ჩარჩოში ლოკალიზდება. ქართული ნუმიზმატიკის შესახებ მრავალი გამოკვლევა არსებობს, ქართული ბონისტიკა კი სრულიად შეუსწავლელია.

ქართული ფულის ისტორიას დეტალური შესწავლა სჭირდება. დიდი ივანე ჯავახიშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ: „არც ერთი ქვეყნის წარსულის ეკონომიკური ცხოვრების აღდგენა არ შეიძლება, თუ ფულისა და საზომების შესახებ უტყუარი ცნობები ხელთ არ გვექნება“.

დღეს ბევრს მსჯელობენ საქართველოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის თაობაზე. ამასთანავე აღნიშნავენ ეროვნული ვალუტის აღდგენის საჭიროებასაც. ამა წლის 24 ივნისს, გაზეთ „რესპუბლიკაში“ დაიბეჭდა ბატონ შოთა ქისტაურის სტატია „ეროვნული ვალუტა: არსი და აუცილებლობა“, სადაც მართებულადაა აღნიშნული, რომ: „ეროვნული ვალუტა, ისეთივე აუცილებელი და არსებითი ატრიბუტია სრული დამოუკიდებლობის გზაზე დამდგარი ხალხისათვის, როგორც ჰიმნი, დროშა და გერბი“. ამას შესანიშნავად გრძნობენ ლიტველებიც. ამა წლის დეკემბრისათვის ლიტვის რესპუბლიკას განზრახული აქვს მიმოქცევაში გამოუშვას საკუთარი ვალუტა „ლიტვის“ სახელწოდებით. რომელიც ბრუნვაში ცვლის საბჭოთა ფულის ნიშნებსაც. ეს ხდება ლიტვაში, ჩვენში კი, მომავალი ეროვნული ფულის ერთეულის სახელწოდებაც არაა შერჩეული. პრესაში ითქვა, რომ ქართულ ფულს შეიძლება „თეთრი“ ვუწოდოთ, რაც არასწორ წინადადებად მიმაჩნია, რადგან ძველ საქართველოში მოჭრილ მონეტებს იმ ლითონის ფერის შესაბამისი ზოგადი სახელწოდება ჰქონდათ, რომლებისგანაც იჭრებოდა. ამისდა მიხედვით, ოქროს მონეტებს — წითელი, ვერცხლისას — თეთრი, სპილენძისას კი — შავი ეწოდებოდა. ამიტომ უხერხული იქნებოდა, ქართული ფულის ერთეულისათვის ვერცხლის მონეტის ზოგადი სახელი გვეწოდებინა.

თუ გადავხედავთ ქართული ფულის ისტორიას, მასში იშვიათად თუ შეგვხვდება ფულის ნამდვილად ეროვნული სახელწოდება. მაგ., აბაზი, უზალთუნი, ალთუნი, პერპერა, დრაჰმა, მაჰმუდი, შაური, ბიშტი, მინალთუნი, დრაჭკანი, ფლური, დინარი, დირჰემი, თუმანი, აქურა და ა. შ. თითქმის ყველა არაქართული სახელწოდებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ხმარებული ფულის სახელწოდება „მანეთიც“ ასევე არაქართული წარმოშობისაა. არაქართულია თვით სიტყვა ფულიც.

სიტყვა მანეთი მომდინარეობს რუსულ ენაში დამკვიდრებული ლათინური „მონეტასაგან“, რომელიც რუსეთის იმპერიაში იხმარებოდა ვერცხლის ფულის — „რუბლის“ აღსანიშნავად. ეს აისახა ნიკოლოზ I ფულის რეფორმის შემდგომ მოჭრილ ვერცხლის მონეტებზეც, რომლებზედაც წარწერილი იყო „Монета рубль“, ე. ი. ვერცხლის 1 რუბლის ნომინალის მონეტა.

მას შემდეგ, რაც საქართველოში დამკვიდრდა რუსული მმართველობა, ფართოდ გავრცელდა ტერმინი „მანეთი“. ამის გამოდღესაც, თანამედროვე სსრკ-ს ფულის ერთეულის სახელწოდებაც არაა შერჩეული. პრესაში ითქვა, რომ ქართულ ფულს შეიძლება „თეთრი“ ვუწოდოთ, რაც არასწორ წინადადებად მიმაჩნია, რადგან ძველ საქართველოში მოჭრილ მონეტებს იმ ლითონის ფერის შესაბამისი ზოგადი სახელწოდება ჰქონდათ, რომლებისგანაც იჭრებოდა. ამისდა მიხედვით, ოქროს მონეტებს — წითელი, ვერცხლისას — თეთრი, სპილენძისას კი — შავი ეწოდებოდა. ამიტომ უხერხული იქნებოდა, ქართული ფულის ერთეულისათვის ვერცხლის მონეტის ზოგადი სახელი გვეწოდებინა.

თუ გადავხედავთ ქართული ფულის ისტორიას, მასში იშვიათად თუ შეგვხვდება ფულის ნამდვილად ეროვნული სახელწოდება. მაგ., აბაზი, უზალთუნი, ალთუნი, პერპერა, დრაჰმა, მაჰმუდი, შაური, ბიშტი, მინალთუნი, დრაჭკანი, ფლური, დინარი, დირჰემი, თუმანი, აქურა და ა. შ. თითქმის ყველა არაქართული სახელწოდებაა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ხმარებული ფულის სახელწოდება „მანეთიც“ ასევე არაქართული წარმოშობისაა. არაქართულია თვით სიტყვა ფულიც.

სიტყვა მანეთი მომდინარეობს რუსულ ენაში დამკვიდრებული ლათინური „მონეტასაგან“, რომელიც რუსეთის იმპერიაში იხმარებოდა ვერცხლის ფულის — „რუბლის“ აღსანიშნავად. ეს აისახა ნიკოლოზ I ფულის რეფორმის შემდგომ მოჭრილ ვერცხლის მონეტებზეც, რომლებზედაც წარწერილი იყო „Монета рубль“, ე. ი. ვერცხლის 1 რუბლის ნომინალის მონეტა.

მას შემდეგ, რაც საქართველოში დამკვიდრდა რუსული მმართველობა, ფართოდ გავრცელდა ვერ აღდგა „მარჩილი“, როგორც ეროვნული ფულის სახელწოდება. თუ ჩვენ გავითვალისწინებთ ამას და მომავალ ქართული ფულის ერთეულს „მარჩილს“ დავარქმევთ, ამით ხორცს შევასხამთ დამოუკიდებელი საქართველოს მესვეურების ნამდვილად პატრიოტულ ჩანაფიქრს. რაც ბედის უკულმართობით განუხორციელებელი დარჩა.

მაგრამ, თუ ქართველი ერის უმრავლესობა არ მოისურვებს „მარჩილის“ როგორც ტერმინის, აღდგენას, კარგი იქნებოდა, თუ მომავალ ქართული ფულის ერთეულს ფრანგული „ფრანკისა“ და ლიტვური „ლიტვის“ ანალოგით „ქართს“ დავარქმევდით. **დაე, დაიკავოს ქართულმა „ქართმა“ კუთვნილი ადგილი მსოფლიოს ფულად ერთეულებს შორის.**

მოსაძებნია მომავალი ეროვნული ხურდა მონეტის სახელწოდებაც, რომელიც მიმოქცევაში საბჭოთა კაპიკის ადგილს დაიკავებს. აწ განსვენებული მეცნიერის დავით კაპანაძის ცნობით, უძველესი ქართული ხურდა ფულის სახელწოდება იყო „კერმა“, რომელიც ზოგჯერ „რვალით“ იცვლებოდა, გამართლებულად მიმაჩნია, ქართული ხურდა მონეტისათვის „კერმა“ გვეწოდებინა.

აუცილებლად მიმაჩნია, გათვალისწინებული იქნეს მთელი ქართველი ერის შეხედულება, თუ რა შეიძლება ეწოდოს მომავალ ქართულ ფულს, „მარჩილი“ თუ „ქართი“, „კერმა“ თუ „რვალი“, ალბათ. ამას რეფერენდუმი გაარკვევს.

შეიძლება, ზოგმა მკითხველმა წერილში წამოჭრილი ჩემის აზრით, მეტად აქტუალური პრობლემა მეორეხარისხოვან საქმედაც მიიჩნიოს, მაგრამ ხომ ნათელია, რომ სახელწოდების გარეშე არ არსებობს მსოფლიოს არცერთი სუვერენული სახელმწიფოს ვალუტა, ვალუტის გარეშე არცერთი ქვეყნის ეკონომიკა, ეკონომიკის გარეშე კი თავად სახელმწიფო.

დღეს ქართველი ერი არჩევანის წინაშე დგას. საკითხი ასეა დასმული. — ან ყველაფერი, ან არაფერი. ყველაფერი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობიდან იწყება, დამოუკიდებლობა — ეკონომიკიდან, ეკონომიკა კი გამორიცხულია საკუთარი ვალუტის გარეშე.

ნიკო ჯავახიშვილი,
სტუდენტი.

საქართველოს ეროვნული ერთიანობის პარტიისა და ეთნიკურ კავშირის საარჩევნო გლოკის განცხადება

ყველა დეპუტატობის კანდიდატს, წარდგენილს ბლოკის პარტიული სიით, გთხოვთ გამოცხადდეთ სამშაბათს, 9 ოქტომბერს, 18 საათზე ტერიტორიული მშენებლობის საპროექტო ინსტიტუტის საქტო დარბაზში (სანაპიროს № 4, ჩოგბურთის კორტების წინ).

სამხედრო-პოლიტიკური

„თავვინ ხალხა..."

გაზეთი „ეროვნული ხმა" (ალბომი).

კრიზისი ახლო აღმოსავლეთში

თავიანი პოლიტიკური კარიერა სადამ ჰუსეინმა ეროვნულ რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტ ფრანსუა ბუტეფლიკამ ალჟირ ქალაქ ოუჯდაზე ბანაკებიდან მოწყობილმა მოხალისეებისგან დააწყო. 1972 წელიდან სადამ ჰუსეინი ეროვნულ კომეტეტის წევრად (მან. ბაათელთან ერთად) ... 1976 წლიდან პროეზიდენტი. მისი ინიციატივით ეროვნულ გაერთიანებულის ... ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველომ იზოლაცია უნდა გაარღვიოს ანუ არ არსებობს ალტერნატივა...

საქართველოში ტრაგედია დატრიალდა. 9 აპრილს მსხვერპლი გახდნენ უდანაშაულო ადამიანები. ჯინმრთელობა შეერყა და დასახჩრდა ასობით უდანაშაულო ადამიანი. მერე ამას, ივლისში, აფხაზეთის ამბები მოჰყვა. ჩვენს სატირალს და საწუხარს ემატებოდა, ცეცხლზე ნავთს ასხამდა ის დეზინფორმაცია, რასაც საკავშირო საინფორმაციო საშუალებები გადმოსცემდნენ და ბეჭდავდნენ, მერე კი საზღვარგარეთის საინფორმაციო საშუალებებიც, მავანთა და მავანთა წყალობით, გაყალბებული ინფორმაციით საზრდოობდა. ამ შემთხვევაში ქართული პრესა, რომელიც თავგამოდებით წერდა ერთსა და იგივეს, ფაქტიურად უძლური იყო, რადგან მოგეხსენებათ ქართული პრესის ძირითადი მკითხველი საქართველოშია და აქ არავის სჭირდებოდა არაფრის მტკიცება, რადგან მთელი საქართველო იყო იმ დღეების თვითმხილველი. თავდაპირველად, სწორედ ამ ტრაგედიამ, ამ სიმწარემ გადააწყვეტინა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალის რექტორს, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ფელიქს ტყებუჩავას გამოენახა ის საშუალება, რაც სხვა ქვეყნებთან უშუამავლო კავშირს უზრუნველყოფდა. ამას ისიც დაემატა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობას ეკონომიკური სიმტკიცისათვის ესაჭიროება მყარი ეკონომიკური შემოსავალი. არადა, ამის საშუალება, არც საამისო წყარო არსაიდან იყო. თბილისის უნივერსიტეტის სოხუმის ფილიალისა და მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომელთა ჯგუფმა ამჯერად ყურადღება კოსმოსში გადაიტანა და იმედიც გაჩნდა...

არა, უცნაურად ნუ მოგეჩვენებათ, ნურც წერილის კითხვას მიატოვებთ, ერთი წუთით წარმოიდგინეთ კოსმოსური თანამგზავრი საქართველოს საკუთრებაში. ეს არც ფანტაზიის ნაყოფია და არც 21-ე საუკუნის ოცნება. თუ ბატონ ფელიქს ტყებუჩავას, მის თანაავტორებს და ბევრ თანამოაზრეს დავუჯერებთ, სრულიად მოკლე ხანში საქართველოს განკარგულებაში აღმოჩნდება დედამიწის ხელოვნური თანამგზავრის სეგმენტი, რომლის დანიშნულება იქნება საერთაშორისო კავშირგაბმულობის დამოუკიდებელი ქსელის შექმნა. ეს თანამგზავრი მოგვცემს საშუალებას საქართველოს ნებისმიერი აბონენტიდან მსოფლიოს ყველა ქვეყანას დავუკავშირდეთ, ასევე ნებისმიერ ქვეყანას დაეკავშირებს ერთმანეთთან. და ამ კავშირების საფასურს გადაუხდიან საქართველოს, როგორც თანამგზავრის უშუალო მფლობელს. ამ ოპერაციებიდან შემოსული თანხა, როგორც წინასწარი გაანგარიშებით გაირკვა, 10 წელიწადში ნახევარ მილიარდ ამერიკულ დოლარს შეადგენს, ხოლო თავდაპირველად ამ იდეის განხორციელებას 100 მილიონი დოლარი დასჭირდება, მაგრამ საჭირო იყო საიმედო პარტნიორის მოძებნა, რომელსაც თამამად გაუმხელდი ჩანაფიქრს, გაენდობოდი და არც დაფინანსება გახდებოდა თავსატეხი.

ასეთი პარტნიორიც გამოიძებნა, ამერიკის შეერთებული შტატების კორპორაცია „ვიდეოტელ ადვანტიჯი“, რომლის წევრები, სხვათაშორის, ამერიკაში მცხოვრები ქართველებიც არიან და მათ შორის ბატონ ფელიქს ტყებუჩავას ყოფილი სტუდენტებიც. ამდენად, ნდობის ფაქტორი, რაც ასე აუცილებელი იყო ამ საქმის დაწყებისათვის, გადაიჭრა. ჩატარდა მეცნიერული ექსპერტიზა, ძირფესვიანად გაიანგარიშეს ყოველი, შემუშავდა სქემები და გაკეთდა დასკვნა — ეს იყო სავსებით რეალური, უდიდესი საქმე, რომელიც ორივე ქვეყნისთვის მომგებიანი იქნებოდა ისე, რომ საქართველოს არც ერთი კაპიკის დადება არ მოუწევდა ამისათვის, არც რესურსებისა და ნედლეულის გაყიდვა და, რაც მთავარია, ეკოლოგიურად იქნებოდა უსაფრთხო. ამ ოპერაციებისათვის საჭირო ყველა თანხას გაიღებდა მხოლოდ კორპორაცია. იქნებ შეკითხვა გაგიჩნდათ, რატომ მაინც და მაინც საქართველოსთვის მოისურვეს ესოდენ დიდი სიკეთის ქმნა, რატომ სხვა ქვეყნებს თუ რესპუბლიკებს არ გაუჩნდათ მსგავსი სურვილი? საქმე შემდეგში მდგომარეობს — ეს არის სრულიად ახლებური, ქართველ მეცნიერთა მიგნება, რომლის თეორიაც თავად შესთავაზეს ამერიკელებს, ამ ხელოვნურ თანამგზავრს სხვათაგან განსხვავებით, ერთი უპირატესობა ექნება — საქართველოს ქსელის გამოყენება მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის უფრო ხელსაყრელი იქნება პროექტის თავისებურების გამო.

ამ სისტემამ უნდა გაუწიოს კონკურენცია ყველა დღემდე არსებულს. ავტორები ჯერ-ჯერობით საიდუმლოდ ინახავენ იმას, თუ რაში მდგომარეობს ეს თავისებურებანი.

არსებობს ერთი საერთაშორისო კანონი, რომლის მიხედვითაც გარეკავშირგაბმულობის ქსელის მოწყობა შეუძლიათ მხოლოდ პოლიტიკურად და ეკონომიკურად დამოუკიდებელ სახელმწიფოებს. თანამგზავრის ქონის უფლებასაც მხოლოდ საერთაშორისო ორგანიზაცია „ინტელსატი“ იძლევა, რომლის გამგეობაში იყრის თავს მსოფლიოს კავშირგაბმულობის მსხვილი ცენტრები. იყო ერთი წინააღმდეგობაც — სისტემა უნდა შეექმნას თანამედროვე სუპერტექნოლოგიის საფუძველზე, მაგრამ არსებობს ამერიკის კონგრესის კონტროლი, რომ სოციალისტური ბლოკის ქვეყნებში ეს ტექნოლოგია არ დაინერგოს, მაგრამ, ვინაიდან, პარტნიორი, კორპორაცია „ვიდეოტელ ადვანტიჯი“ დარწმუნდა ქართველ მეცნიერთა შეთავაზებული იდეის რენტაბელობაში, გადაწყვიტა, ყველა კომპრომისზე წასულიყო. ვინაიდან საქართველო იბრძვის სრული სუვერენიტეტის მისაღწევად, კორპორაციამ ითავა, აიყვანოს იურისტები და მათი შუამდგომლობით წინადადებით შევიდეს საერთაშორისო ორგანიზაცია „ინტელსატში“, რათა საქართველოს დამოუკიდებელი გარეკავშირგაბმულობის ნებართვა მისცეს.

იდეის ავტორებმა საკითხის დადებითად გადაჭრისათვის ჯერ კიდევ აპრილის თვეში შეიტანეს განცხადება საქართველოს მინისტრთა საბჭოში, სადაც საბედნიეროდ არავის გაუწევია წინააღმდეგობა, რაც თავდაპირველად უთუოდ თანხმობის ნიშანი იყო, ხოლო 1990 წლის 22 აგვისტოს, როცა კორპორაციის პრეზიდენტი ჯოზეფი შვარცი ჩამოვიდა თბილისში ხელშეკრულების გასაფორმებლად, საქართველოს მინისტრთა საბჭომ, ხელშეკრულების პარალელურად გასცა საბუთი, რომ კორპორაციას ანდობდა წარედგინა საქართველოს ინტერესები საერთაშორისო საკომუნიკაციო ორგანიზაციებში. მოკლედ, საქმე აგორდა სასიკეთოდ, ამერიკიდან პირველი საქმიანი წინადადებებიც მოვიდა, მაგრამ მალე პროექტის განხორციელებას საფრთხე დაემუქრა. ხელშეკრულების დადებიდან ორი კვირის თავზე, 4 სექტემბერს, საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრომ, ერთპიროვნულად სპეციალისტებთან და სამთავრობო კომისიასთან შეუთანხმებლად გაგზავნა დეპეშა კორპორაციაში, რომ სამინისტოს ხელშეკრულების ზოგიერთ პუნქტში შეჰქონდა ცვლილებები და საჭირო იყო ორი დღის უკან დადებული ხელშეკრულების ხელახლა გადასინჯვა. ეს, იურიდიული თვალსაზრისით, უბრალოდ, ხელშეკრულების დარღვევას ნიშნავდა, რაც ნებისმიერი ფირმისთვის ყოვლად მიუღებელი და გაუმართლებელია.

და ეს მოხდა მაშინ, როცა შექმნილმა სამთავრობო კომისიამ, რომელშიც კავშირგაბმულობის სპეციალისტები, პროფესორები ნოდარ ხარატიშვილი და თამაზ კუპატაძეც იყვნენ, იმუშავა, გაანიხილა ყველა შესაძლებლობა, წინადადება და დაასკვნა მისი განხორციელების მიზანშეწონილობა. აღსანიშნავია ერთიც, საქართველოს ხელოვნური თანამგზავრის არსებობა მთლიანად გამორიცხავს საკავშირო სამინისტროსადმი დაქვემდებარებას და მის კონტროლს... ქართველ ხალხს შესაძლებლობა ეძლეოდა მთელი მსოფლიოსთვის მიეწვდინა ხმა ყველას კონტროლისა და შუამავლობის გარეშე, თანაც ისე, რომ არაფერი წახდებოდა და გაფუჭდებოდა. მაგრამ, ამერიკის კორპორაციაში საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროდან 4 სექტემბერს მიღებული დეპეშის შემდეგ, ჩრდილი დაადგა იმ ნდობასა და ურთიერთობას, რაც ერთმანეთს აღუთქვეს პარტნიორებმა. შეიქმნა უხერხული სიტუაცია. იდეის ავტორებმა კვლავ საქართველოს მთავრობას მიმართეს, სადაც კვლავ მხარი დაუჭირეს მეცნიერებს და აღუთქვეს, რომ საქართველოს მთავრობის სახელით კორპორაციაში გაიგზავნებოდა დეპეშა, რომელშიც კიდევ ერთხელ იქნებოდა ხაზგასმული დადებული ხელშეკრულების ერთგულება.

სახალხო დეპუტატებმა პარმენ მარგველაშვილმა, ელდარ შენგელაიამ, ლანა ღოღობერიძემ, ყველაფერი იღონეს, რათა არ დაეშვათ ამ ხელშეკრულების დარღვევა.

საქმეში ეროვნული მოძრაობაც აქტიურად ჩაება. 2 ოქტომბერს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეზოში, მოეწყო მიტინგი, ხოლო 4 ოქტომბერს უნივერსიტეტის საააქტო დარბაზში გაიმართა ტექნიკური ინტელიგენციის კრება-სემინარი, სადაც ცნობილმა სპეციალისტებმა, ტექნიკური უნივერსიტეტის კავშირგაბმულობის ფაკულტეტის პროფესორ-მასწავლებლებმა კვლავ დაადასტურეს პროექტის განხორციელებისა და დადებული ხელშეკრულების აღდგენის აუცილებლობა, ხოლო 5 ოქტომბერს, რუსთაველის გამზირზე, კავშირგაბმულობის სახლთან მოეწყო მიტინგი, სადაც იდეის ავტორებთან, სპეციალისტებთან და კავშირგაბმულობის სამინისტროს წარმომადგენლებთან ერთად, იყვნენ ეროვნული მოძრაობის ლიდერები.

ირაკლი წერეთელი — ჩვენი პოზიცია ასეთია: ყველა ვარიანტი, რაც საკომუნიკაციო საშუალებებს ეხება, აუცილებელია, რაც შეიძლება მაღალ დონეზე, სპეციალისტების მიერ იქნეს განხილული და ყველა ჩვენთაგანმა, მხარი უნდა დავუჭიროთ იმ პროექტს, იმ ხელშეკრულებას, რომელიც ჩვენი ქვეყნისათვის, ჩვენი ერისათვის იქნება მიზანშეწონილი და გამოსადეგი, რომელიც საქართველოს ოპერატიულ, პირდაპირ კავშირურთიერთობას უზრუნველყოფს და საერთოდ მოხდება საკომუნიკაციო საშუალებების მოდერნიზება და მათი აყვანა ცივილიზებული ქვეყნების დონეზე.

იქვე, მომიტინგეთა შორის რამდენიმე ქალბატონი გამოვარჩიე, რომლებიც შემთხვევით შეესწრნენ ხალხმრავლობის, მერე კი კავშირგაბმულობის სახლში სამინისტროს მიერ გამართულ კონფერენციაზე დასწრების სურვილიც გამოთქვეს.

ნუნუ მაღალაშვილი — მევენახეობისა და მებაღეობის ინსტიტუტის თანამშრომელი. შემთხვევით მოვხვდი აქ. ისე კი მართალია ძუნწად, მაგრამ პრესის საშუალებით ვიცი ამ ახალი კავშირურთიერთობის დამყარების თაობაზე. ჩემი აზრი ასეთია—ჩემთვის, როგორც რიგით მოქალაქისათვის, ამ სიტუაციაში, ობიექტური დასკვნის გაკეთება შეუძლებელია. არის საუბარი, რომ რაღაც პროექტები, მიზნები კავშირგაბმულობის სამინისტროსაც აქვსო. მომხრე ვარ იმისა, ყველა პროექტი, რაც საქართველოს მომავალს ეხება, რაც ხალხისთვის კეთდება, გამოქვეყნდეს პრესაში და თავად ხალხმა განსაჯოს და გადაწყვიტოს მხოლოდ კომპეტენტური და მაღალკვალიფიციური სპეციალისტების დახმარებით.

მიტინგმა კავშირგაბმულობის სახლის დარბაზში, კონფერენციაზე გადაინაცვლა.

ირაკლი ბათიაშვილი — ეროვნული მოძრაობა, საქართველოს ეროვნული ფორუმი ამ საკითხის გადაწყვეტით დაინტერესდა და ეს გასაგებიც უნდა იყოს, მართალია, ჩვენ არც ფიზიკოსები ვართ, არც კავშირგაბმულობის მუშაკები, მაგრამ ზოგადად, როცა ქართველ მეცნიერთა იდეას გავეცანით, მივხვდით, რომ მართლაც და უდიდესი წვლილის შეტანა შეიძლებოდა საქართველოს განვითარების საქმეში. თუმცა, აქ საქმე ეხება არც მარტო წვლილს ტექნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით, ახლეს, რომელიც ახლა ინერგება — საერთაშორისო კოსმოსური ტელესაკომუნიკაციო სისტემის შექმნა — უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, რომ საქართველო გავიდეს მსოფლიოს ახპარეზზე, რომ ჩაერთოს ცივილიზებული ერების რიგში, ამის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საფუძვლად სწორედ ამ ახალი სისტემის დანერგვა მიგვაჩნია. ჩვენ, აქედან გამომდინარე, ვგულშემატკივრობთ და, მომავალშიც ვუერთდებით ამ საქმეს.

რუსლან მიქაბერიძე — ჩემი სახით თქვენ წინაშეა არაკომპეტენტური კაცი, რომელიც ამ საქმეში ვერ ერკვევა. ნუ გაიკვირვებთ, მეც ძალიან არ მიყვარდა და, არც ახლა მიყვარს, როცა თეატრში, ახალი სპექტაკლის განხილვისას, არაკომპეტენტური ხალხი მოდიოდა, ხელს აფათურებდა, ახლიდან კემსავდა და კერავდა ყველაფერს. ნურც ის გაგიკვირდებათ, რაც ამ სამინისტროში მოხდა. ყველაფერი ძველებური მეთოდებით გაკეთდა, გვერდი აუარეს სპეციალისტებს და ამან დაბადა ის გაურკვევლობა. თუმცა გამოსავალი ამ მდგომარეობიდან ძალიან სადაა. ერთ დროს და არ ვიცით, ახლაც როგორ გრძელდება ეს ინერცია, ეს დაწესებულება „სხვების მოხმენის“ დაწესებულება იყო სხვა რამეებთან ერთად. ახლა კი ჩვენი მოხმენაც მოგიწევთ, აუცილებლად ანგარიში უნდა გაუწიოთ ეროვნულ მოძრაობას, ხმას ერისას და ყველაფერი თავის ადგილზე იქნება. ჩვენც მიგვაჩნია, რომ ხელის საფათურებლად კი არ მოვედით, არამედ იმიტომ, რომ დახხდნენ ქართველი სპეციალისტები და იმათ აირჩიონ თუ რომელი პროექტი სჯობს: სხვა პრეტენზია ჩვენ არ გვქონია, კონსოლიდაციაზე თუ ვსაუბრობთ, კონსოლიდაცია არის გულღიად ეროვნული საქმეების კეთება, ხალხს ნურაფერს დაუმალავთ, ნურაფერს დავფარავთ და ყველაფერი თავის ადგილზე იქნება.

ფრიდონ ინჯია — კავშირგაბმულობის საშუალებათა სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი.

— „მე იმედი მაქვს, რომ საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს ხელმძღვანელობა შეცდომაშია შეყვანილი და აწი მაინც სწორად გადაწყვეტს პრობლემას, ვინაიდან ალტერნატიული პროექტი, მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებ, არ არსებობს. ვფიქრობ, კავშირგაბმულობის სამინისტროს მონოპოლიის დაკარგვა არ სურს და ამიტომაც დაგვიპირისპირდა, მაშინ, როცა ჩვენს გვერდით უნდა მდგარიყო.

კონფერენციაზე, საქართველოს კავშირგაბმულობის მინისტრმა ვლადიმერ კობახიძემ მის მონაწილეებს წაუკითხა დეპეშის ტექსტი, რომელიც იმ დილით გაიგზავნა ამერიკის შეერთებულ შტატებში.

„კორპორაცია „ვიდეოტელ ადვანტიჯის“ პრეზიდენტს ჯ. შვარცს.

საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტრო მთლიანად კისრულობს მასზე დაკისრებულ ვალდებულებას „ვიდეოტელთან“ 1990 წლის 22 აგვისტოს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთანავე, ჩვენ ვაუქმებთ ჩვენი წერილის ტექსტს გამოგზავნილს 1990 წლის 4 სექტემბერს.

ვიმედოვნებთ, რომ თქვენ მიიღებთ ზომებს, რათა წარმოადგინოთ ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება და შესაბამისი პროექტი დათქმულ დროში. ახლადშექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, რომელიც ეხება საქართველოს კავშირგაბმულობის შიდა ქსელს, საქართველოს კავშირგაბმულობის სამინისტროს სურს ეს საკითხები განიხილოს თქვენი თანდასწრებით. გეპატიჟებით თბილისში. შეგვატყობინეთ ჩამოსვლის თარიღი“.

პატივისცემით ვლ. კობახიძე.

ნინო კვაჭანტირაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმოწყალება არ გვესწავლება...

— ქალბატონო ნინო, რას გვეტყოდით ორიოდე სიტყვით ოპერაციების შედეგებსა და პაციენტების მდგომარეობაზე.

— საქართველოში ჩამოსულ ამერიკელ ექიმებს ოცი გულის მანკით დაავადებული, გამოკვლეული პაციენტი დავახვედრეთ. აქედან თექვსმეტი ქართველი იყო, ოთხი კი სომეხი. მკითხველმა თქვენი გაზეთის საშუალებით უკვე იცის, რომ „დებორა“ ხელშეკრულებით თანამშრომლობს საქართველოსთან, სომხეთთან და უკრაინასთან. ოცი ბავშვიდან ოპერაცია ცხრამეტს გაუკეთდა. ერთი კი, გარკვეული მიზეზების გამო, სამომავლოდ გადადეს. უნდა აღვნიშნოთ, რომ ამერიკელმა ექიმებმა ოპერაციამდე, ჩვენი კვლევის შემდეგ, თავად გადაამოწმეს პაციენტთა მდგომარეობა და ყველა დიაგნოზი ზუსტი აღმოჩნდა. მაგრამ, მოგეხსენებათ, განვითარებული ტექნიკური აღჭურვილობისა და პრეპარატების გამო, მკურნალობის მეთოდები ამერიკელებს მაღალი დონისა აქვთ. ამიტომ წინასწარ ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოიტანეს მთელი საოპერაციო და ინტენსიური მკურნალობის პალატების მოწყობილობანი. მოგეხსენებათ, კარდიოლოგიური აპარატურა ძვირადღირებულია და ჩვენი, სამამულო წარმოება თითქმის არაფერს გვიმზადებს. ოპერაციებმა ყოველგვარი გართულებების გარეშე ჩაიარა. ბევრი პაციენტი უკვე გაეწერა კიდევაც საავადმყოფოდან, ყველა მათგანი თავს ჩინებულად გრძნობს და არც მომავალში არავითარი საფრთხე არ ემუქრება მათ ჯანმრთელობას.

— საინტერესოა, მომავალში ამ პაციენტებს ჯანმრთელობას თვალყურს ამერიკელი ექიმებიც მიადევნებენ?

— რა თქმა უნდა, თითოეული ბავშვი აღრიცხვაზე გვყავს აყვანილი. წინასწარ მონაცემებით, ხელშეკრულების საფუძველზე ამერიკელები 6 თვის შემდეგ კვლავ უნდა ჩამოვიდნენ ჩვენთან და უსათუოდ მოინახულებენ ამ პატარებსაც.

— იქნებ აქვე გვითხრათ, დღეისათვის საქართველოში გულით დაავადებული რამდენი ბავშვია აღრიცხვაზე და როგორია მათი მდგომარეობა?

— დღეს საქართველოში ხუთასზე მეტი ბავშვი გვყავს აღრიცხვაზე, რომელთა დიაგნოზია გულის მანკი, მაგრამ მანკი მრავალგვარია და ბევრი ოპერაციას არ ექვემდებარება. ამდენად, შეუძლებელია, ყველა ამ დიაგნოზით დაავადებული ბავშვების მშობლების თხოვნა დაკმაყოფილდეს და ოპერაცია გაკეთდეს.

— როგორ არჩევთ მომავალში საოპერაციოდ პაციენტებს?

— აღრიცხვაზე მყოფი ბავშვების მდგომარეობას საგულდაგულოდ სწავლობენ ადგილზე. ბევრი მათგანი თავად ნახეს ამერიკელმა სპეციალისტებმა. ბევრის მდგომარეობა რთულია. „დებორას“ ცენტრის თანამშრომლები აპირებენ ამერიკაში წაიყვანონ რამდენიმე, მაგრამ როდის, ამაზე კონკრეტულად ვერ გიპასუხებთ, რადგან ყველაფერი დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული.

— რასან ხარჯებზე ჩამოვარდა სიტყვა, რა თანხა გაიღო „დებორას“ ცენტრმა ამ აქციისათვის?

— თავიდანვე ვიტყვი, რომ „დებორა“ ძირითადად შემოწირულობების ხარჯზე არსებობს და მისი წლიური ბიუჯეტი 85 მილიონ დოლარს შეადგენს. ეს ცენტრი თავის საქმიანობას წარმართავს საქველმოქმედო მისიით და ავადმყოფთაგან არავითარ გასამრჯელოს არ იღებს.

საქართველოში ამერიკელებმა ასობით დოლარის აპარატურა ჩამოიტანეს, მარტო მგზავრობა თბილისამდე 70 ათასი დოლარი დაჯდა, მთლიანად ამ აქციისთვის კი „დებორამ“ ოთხი მილიონი დოლარი გაიღო.

— „დებორასთან“ მომავალი ურთიერთობებისა და თანამშრომლობის გაგრძელებას როგორ აპირებთ?

— ჯერჯერობით ხელშეკრულება 2 წლის ვადით გვაქვს გაფორმებული. ამ ხნის განმავლობაში ყოველ 5 თვეში ჩვენ სპეციალისტებს მივავლინებთ „დებორას“ ცენტრში კვალიფიკაციის ასამაღლებლად და კოლეგების საქმიანობის გასაცნობად. ამგვარი ვიზიტით სამი ქართველი ექიმი უკვე მივლინებული იყო ამერიკის შეერთებულ შტატებში. თბილისში ჩატარებულმა ოპერაციებმა გვიჩვენა, რომ ამგვარი მივლინებები უსათუოდ ესაჭიროება საშუალო სამედიცინო პერსონალსაც. ამდენად, ამ საკითხის გადაჭრასაც ვაპირებთ. როგორც ვთქვი, წინასწარი მონაცემებით, 6 თვის შემდეგ ამერიკელი სპეციალისტები კვლავ უნდა გვეწვიონ და ბევრი პატარა პაციენტი, შშობელი, ახლობელი, მოუთმენლად ელის ამ შეხვედრას.

საქართველოს ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში გაიხსნა ანგარიში, რომელიც საქველმოქმედო აქციებს უნდა მოხმარდეს.

ანგარიშის ნომერია:

საქართველოს რესპუბლიკის ბიუსოცბანკის საოპერაციო სამმართველო.

№ 000609845.

521017.

სავალუტო — № 70000012.

— 805227 (კოდი).

იქნებ ბევრმა უსიამოვნო ინფორმაცია მიიღოს, მაგრამ აქვე ვიტყვით, რომ ეს ანგარიში თვეზე მეტია გაიხსნა, გამოცხადდა კიდეც მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით, მაგრამ ჯერჯერობით ერთი კაპიკიც არ დევს ამ ანგარიშზე. ჩვენ ხომ არავისგან გვესწავლება გულმოწყალება?!

ესაუბრა
ნინო ახალაძე.

გეპატიჟებათ ზღაპრული სამყარო

დაიწყო ახალი სასწავლო წელი. ცხელი ზაფხულის უზუნველი დღეების შემდეგ პატარებს მოსწყურდათ პედაგოგთა თბილი მზერა, წიგნებთან განმარტოება და კიდევ... საოცრად სასურველი და ახლობელი... ბავშვურ ცნობიერებას სათუთად შემორჩენილი, დაუთმობელი და ნათელი სამყარო — ზღაპარი რომ ჰქვია.

ვინ იცის, რამდენი ფიქრიანი საღამო, რამდენი სიხარული და ცრემლი, აღტაცება და გაოცება დარჩა კონკიასა და ბოროტი დედინაცვლის, წითელქუდასა და მზეჭაბუკის, ბურატინოსა თუ ობოლი დამის სევდიანი თავგადასავლის მოსმენის შემდეგ.

ვინ იცის, რამდენი ეშმაკობა და მონდომება, ჭირვეულობა და მუდარა სჭირდებათ პატარებს, რომ დაღლილი და თავგაბეზრებული დედებისა და ბებიებისაგან კიდევ ერთხელ მოისმინონ სასურველი ზღაპარი.

ვინ იცის, იქნებ, სასთუმალზე ჩათვლემილ ვარდისფერ ზმანებებში ჩაძირულ პატარებს, გათენებამდე რომ ზღაპრის კეთილი ფერიები ესაბზრებათ, მთელი ცხოვრების მანძილზე გაჰყვეთ ბავშვობის სურვილი აუსრულონ. აქ შემოქმედ ბავშვთა ფანტაზიის ფრთაშესხმის ყოველგვარი პირობა არსებობს: თავადაც ზღაპრულად მშვენიერი დარბაზები, კეთილი მეზღაპრეების თბილი მზერა.

მათთვის კი ვინც ვერ შესძლებს სასახლის ბრწყინვალე აღლუმებს, ბალ-მასკარადებს და ფერიების მეჯლისებს დაესწროს, სასიამოვნო სიურპრიზად კეთილი მეზღაპრეები თავიანთ უნგარო სამსახურს სთავაზობენ. ისინი მზად არიან ეწვიონ სკოლებს და ნორჩებს აქვე ჩაუტარონ გართობის დილა, გამოცდილმა მეზღაპრეებმა მშვენივრად იციან თუ რა უხარიათ პატარებს, რა მოსწონთ და აღელვებთ. შემოქმედებითი ნიჭით გამორჩეულ ბავშვებს კი სასახლეში ვეპატიჟებით, მათთვის სპეციალურად ეწყობა საღამოები, იწერება სცენარები და მზადდება ღონისძიებები...

მაშ ასე, დაიწყო ზღაპრების მოყვარულთა ყველაზე დიდი დღესასწაული — პირველკლასელთა ზეიმი, რომელიც ერთ თვეს გასტანს. იჩქარეთ პატარებო. თქვენ გელოდებათ საინტერესო შეხვედრები და უამრავი სიურპრიზი.

მარიკა ბაძრაძე

სახალხო მოხმარების საგნების კოოპერატივი „დ ე ლ ტ ა“ უშვებს ელშედულების ნახევარ ავტომატს CO_2-ის არეში, რომელიც შეიძლება წარმატებით გამოიყენონ ავტოშემკეთებლებმა ძარის შედულებისას, აგრეთვე, საზეინკლო სამუშაოების შესასრულებლად.

ქ. თბილისი, ძინძმარაულის ქ. № 18-ა.

კოოპერატივი „დელტა“. ტელეფონები: 71-87-80

ან 71-85-48.

რა მემკვიდრეობაა უარსაყოფი?..

რეცენზიის მაგიერ

გამომცემლობა „ხელოვნებამ“ გამოსცა პროფ. აკაკი სურგულაძის წიგნი — „ქართული კულტურის ისტორიის ნარკვევები“. ბევრი რამ ნაკლი, ფაქტობრივი და აზრობრივი ლაფსუსი თუ ძველი დოგმატური აზროვნების ბევრი მარქსისტული სტერეოტიპი და იდეოლოგიური შტამპი მოიძებნება ამ მდიდრულად ილუსტრირებულ 500-გვერდიან წიგნში. მარტო შესავალი რომ ავიღოთ ამ მხრივ, ალბათ, იქვე დაგვეკარგება წიგნის წაკითხვის ხალისი: იგი სავსეა „სოციალისტური წყობილების, როგორც საზოგადოების განვითარების უმაღლესი ეტაპის“ და კულტურის განვითარების ალეგრიად ქცეული მარქსისტული ლოგიზმებით. ისე რომ, წიგნი საკმაოდ მდიდარ მასალას იძლევა კრიტიკისათვის.

ვინც მოთმინებით აღიჭურვება და მარქსიზმის ფიზზე გაშლილ შესავალს ოდნავ მაინც გასცდება, საოცარი პარადოქსის მოწმე გახდება: წიგნი მკითხველს ქართული სულის განფენილობის, ჩვენი ეროვნული კულტურის საკაცობრიო ცივილიზაციასთან წილნაგომილობისა და ორგანული მთლიანობის თანაზიარს გახდის. ქართული და უცხოური წყაროებიდან რუდუნებით შეგროვილი მასალები ხაზს უსვამენ ქართული ცივილიზაციის თვითმყოფადობას და მის შორეულ ისტორიულ ფესვებს. ერთი სიტყვით, საქართველოს ისტორიისა და მისი ფილოსოფიის დამხმარე სახელმძღვანელოდ ჩაფიქრებული წიგნის იდეოლოგიური ბაზა, წინასწარ-აღებული მარქსისტული სქემები და დოგმები მასში წარმოჩენილ მდიდარ ფაქტობრივ მასალასთან აშკარა დისჰარმონიას ქმნის.

გვჭირდება თუ არა ასეთი წიგნები და სახელმძღვანელოები დღეს? ამ კითხვაზე პასუხი უკანასკნელი ათწლეულების მთელი ჩვენი მემკვიდრეობის, — „მამათა“ ღვაწლის შეფასებას ეხმაურება და ამდენად, ღირს მასზე სერიოზული დაფიქრება — პასუხის გაცემა.

პირველ რიგში უნდა გიჩრკვეს, თუ რა მემკვიდრეობაზე ვამბობ უარს: ძალიანაც რომ მოვიწადინოთ წარსულის მემკვიდრეობის მთლიანად და განურჩევლად თავიდან ვერ ავიცილებთ — არც ბუნებაში და არც საზოგადოებაში ასეთი რამ არ ხდება. ცხადია, რომ უარყოფის მსახვრალი ხელი, უპირველეს ყოვლისა, იდეოლოგიას და მასზე აშენებულ სოციალურ-ეკონომიკურ პოლიტიკას უნდა შეეხოს — ყველაფერ იმას, რამაც საზოგადოება კრიზისის გამოუვალ ჩიხში მოაქცია. ეს ბოლშევიზმით გაუკუღმართებული მარქსისტული მსოფლმხედველობაა.

მაგრამ მარქსიზმი ის იდეოლოგია არაა, რომელიც ასე მალე და როლად ამოვა ადამიანთა შეგნებიდან. ამასთან, მისი უარყოფის პროცესს არ უნდა გადავაყოლოთ ისეთი რამ, რაც დღევანდელობის, თუ პერსპექტივის თვალსაზრისით ანგარიშის გაწევას თხოულობს ჩვენგან. მაგალითისთვის ავიღოთ „სოციალიზმის“ იდეა — მარქსისტული იდეოლოგიის წამყვანი დედა, რომელიც თავდაპირველი კაპიტალიზმის სოციალურმა ანტაგონიზმმა წარმოშვა მარქსიზმამდე ადრე და რომელიც ამა თუ იმ ფორმით და დოზით შემდგომში თითქმის ყველა ქვეყნის ისტორიული განვითარების თავისებურ გზა-მკვლევად იქცა. წარსულიდან აქ შეიძლება გავიხსენოთ რუზველტის „ახალი კურსის“, დღევანდელობიდან კი, შვეიცის ან ისრაელის მაგალითები. **იგი კიდევ ბევჯერ შეგახსენებს თავს, მიღ უმეტეს იქ, სადაც სოციალური პრობლემები ჯერჯერობით კვლავაც მწვავედ დგას, პირველ რიგში კი, ჩვენთან.**

კაპიტალის განსაზოგადოება-სოციალიზაციის შედეგად კი, სოციალიზმის იდეის სხვადასხვა სახესხვაობანი, დღეს გაცილებით რელეფურადაა წარმოდგენილი კაპიტალისტურ ქვეყნებში, ვიდრე ე. წ. „სოციალისტურ“ ქვეყნებში, სადაც ამ იდეის ძირითადი შემადგენელი კომპონენტები — სოციალური დაცვისა და სამართლიანობის, თუ თანასწორობისა და კაცთმოყვარეობის პრინციპები კარიკატურებად იქცნენ.

მაშასადამე, ცივილიზაციის ერთიანი ისტორიული პროცესის სხვადასხვა ფორმაციებად დაყოფას რეალური აზრი და საფუძველი არა აქვს — უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ პირობითად თუ მივიღებთ მას. თავისთავად აღებული „სოციალიზმის“ ცნებაც და იდეაც აქ არაფერ შუაშია — პრობლემის არსი მის რეალიზაციაშია, ოღონდ მხოლოდდამხოლოდ საზოგადოებრივ-ეკონომიკური განვითარების ბუნებრივ-ისტორიული განვითარების გზით და არა რომელიმე „ბელადის“ ნებისყოფით. ნებისმიერი გადახვევა ამ გზიდან, მისი რაიმე მნიშვნელოვანი, მით უმეტეს კი, არსებითი კორექტირება, თუნდაც ყველაზე კეთილი სურვილებით, საბოლოო ჯამში არ შეიძლება კარგით არ დამთავრდეს.

ამიტომ, როცა ვლაპარაკობთ ძველის რაიმე პოზიტიურ მემკვიდრეობაზე, ეს დღემდე დაგროვილი და ჩვენამდე მოღწეული ის მატერიალური და სულიერი ღირებულებანია, რომლებიც ისევ საზოგადოების განვითარების თავდაპირველ ბუნებრივ-ისტორიულ პროცესს უნდა დაეუბრუნოთ. როდესაც ძველ ამორტიზირებულ სახლს ანგრევენ, ბევრი რამის გადარჩენა-გამოყენება შეიძლება საზრიანი თუ თადარიგიანი კაცის ხელში. **განურჩეველი გლობალური ნგრევა, მით უმეტეს კი, თვითმიზნად გადაქცევა და მისით ტკბობა, — ეს ავადმოსაგონარი და ავადმყოფური ბოლშევიკურ-ფაშისტური ანომალია ანომალიადვე უნდა შემორჩეს ისტორიას. მის წინააღმდეგ ამხედრებულმა თანამედროვე თაობებმა ძველი შეცდომები აღარ უნდა გაიმეორონ — ყველა და ყველაფერი ყოვლისმომცველ უარყოფას კი არ უნდა დავუქვემდებაროთ, არამედ ყველასა და ყველაფერში ახლის ქმნადობის რაციონალური საწყისი ვეძიოთ.**

დაბოლოს, კიდევ ერთხელ ბ-ნ აკაკის წიგნზე: თუ წინასწარ აკვიატებით ჩავეძიებით მას, ბევრ რამეს მოვიძიებთ ანათემაზე გადასაცემად, მაგრამ საჭირო კი არის ასეთი ძიება-ანალიზი?. **რას გვაძლევს იგი, გარდა პიროვნული ამბიციების გამზეურებისა, რაში წაადგება ჩვენს საერთო-ეროვნულ საქმეს?** თუ პანეგირიზმზე მიდგება საქმე, ეს ცოდვა წარსულისა, თუ დღევანდელობის, მიმართებაში, მეტ-ნაკლებად ყველას სენია. მისგან დაზღვეული არავინ არაა. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ თვით ივანე ჯავახიშვილიც კი ვერ გადაურჩა თავის დროზე მას.

მიმდინარე მოვლენისა, თუ ფაქტის შეფასებაში მთავარი კრიტერიუმი ის უნდა გავხადოთ, თუ რამდენად ხელს უბერებს მასში დადებითი უარყოფითს ეროვნული ცხოვრების მოცემულ კონკრეტულ სფეროში.

საქართველოს ისტორიისა და პოლიტოლოგიის სულ უფრო მზარდი მოთხოვნილების პირობებში, თაქტიური მასალით მდიდარ ამ წიგნს, რომელიც, ამასთან, ეროვნული სულისა და ცნობიერების განვითარების ერთიანი ისტორიული პროცესის გააზრების პირველი სერიოზული ცდაც არის, მნიშვნელოვანი სამსახური შეუძლია გაუწიოს პრობლემით დაინტერესებულ მკითხველს. სასურველი ის უნდა გახდეს, რომ მსგავსი განმაზოგადოებელი ნაშრომები, უფრო სრულყოფილნი ფორმითაც და შინაარსითაც, მეცნიერული კვლევა-ძიების ძირითადი მიმართულება გახდეს ჩვენთან.

ელბერდ ბაგიაშვილი

ლორძილება არგო

გვერდს ხელმძღვანელობენ ასოციაცია „ახალგაზრდა ერი“ და ფირმა „არგო“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება! ყურადღება!

კომერციულ ცენტრებს, კონსორციუმებს, კონცერნებს, ფირმებს, მცირე საწარმოებს, საწარმოებს, სახელმწიფო გაერთიანებებს, სავაჭრო დაწესებულებებს, სამეურნეო ასოციაციებს, კომერციულ გაზეთებს, ბანკებს, კოოპერატივებს, მეურნეობებს და სხვა ახალი ტიპის იურიდიული პირის უფლების მქონე ეკონომიკურ სტრუქტურებს.

ცხადდება კონკურსი!

გაიმარჯვებს მსოფლიო ბიზნესში უკეთ გათვითცნობიერებული შრომითი კოლექტივი. გვაინტერესებს პასუხი კითხვაზე თუ რას ნიშნავს და საიდან მოდის უცხოური ფირმების დასათაურებაზე და ემბლემაზე ერთი მეტად გავრცელებული სიმბოლო R

გამარჯვებულს ექნება შესაძლებლობა იხარგებლოს სერვისით, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში წელიწადში მას რამდენიმე ათასი დოლარი დაუჯდებოდა.

ველით თქვენს პასუხებს მისამართზე:
თბილისი, ანაგის № 7. შრომის სასახლე XII სართ. ასოციაცია „ქასეხის“ და ფირმა „არგოს“ ერთობლივი სააგენტო „ალვა“. ტელ. 38-01-96.
პასუხების მიღების ბოლო ვადაა ა. წ. 20 ოქტომბერი.

ინფორმაცია

კვირას მოსკოვში დამთავრდა ჩოგბურთელ ქალთა დიდი საერთაშორისო ტურნირი „კაფტ ჯენერალ ფუდსი“. ტურნირი, რომელიც „ვირჯინია სლიმზის“ სერიაში შედის, საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და მის საპრიზო ფონდს 150 000 დოლარი შეადგენდა. მონაწილეთაგან ყველაზე მაღალი რეიტინგი ჩვენ თანამემამულეს ლელა მესხს ჰქონდა და იგი ტურნირის ფავორიტად იყო მიჩნეული. ლელამ ჩინებულად ჩაატარა ეს ტურნირი და გამარჯვებულის სახელი მოიპოვა. ამ გამარჯვებით ლელა მესხმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ შესანიშნავ სპორტულ ფორმაში იმყოფება.

აი, ლელას შედეგებიც ამ ტურნირზე:

მეთექვსმეტედფინალი: მესხი — კრაიჩოვიკოვა (ჩეხოსლოვაკია) 6:3, 6:0;

მერვედფინალი: მესხი — მაგდალენა მალეევა (ბულგარეთი) 6:3, 6:1;

მეოთხედფინალი: მესხი — კარინა გაბსუდოვა, (ჩეხოსლოვაკია) 4:6, 6:3, 6:1;

ნახევარფინალი: მესხი — ანა მინტერი (ავსტრალია) 6:2, 6:4;

ფინალი: მესხი — ელენე ბრიუჰოვეცი (სსრკ) 6:4, 6:4.

კიდევ ერთხელ ვულოცავთ ლელას ამ წარმატებას და ჩვენი გაზეთის მკითხველებს ვპირდებით, რომ შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ ინტერვიუს ლელა მესხთან, რომელიც ჩვენმა კორესპონდენტმა ჩამოართვა მოსკოვში გამგზავრების წინ.

ვიზების სათარგმნად

გთხოვთ, მიმართოთ კოოპერატიულ ფირმა „ზვავს“, რომელიც მიგიღებთ ყოველდღე დასვენების დღეების გარდა. 11-დან 21 საათამდე. ვიზების თარგმნა ხდება ერთ დღეში, გთხოვთ, წინასწარ დაგვიკავშირდეთ ტელეფონით, 22-58-40 და გვწვიოთ მისამართზე: თბილისი, პეტრიაშვილის ჩიხი № 2.

სასწავლო კოოპერატივი „განათლება“

ფრძელებს საშუალო სკოლის მოსწავლეთა და აბიტურიენტთა მიღებას. მსურველებს შეუძლიათ მოეშზადონ ნებისმიერ საგანში, რომელიც ბარდება მასალებ გამოცდებზე ყველა ტიპის უმაღლეს სასწავლებელში. მეცადინეობას უძღვებიან უმაღლესი სასწავლებლებიდან მოწვეული პროფესორ-მასწავლებლები. სწავლა ქართულ და რუსულ ენებზეა. მეცადინეობა ტარდება მცირერიცხოვან ჯგუფებში. გამოცდების პერიოდში აბიტურიენტებს უტარდებათ დამატებითი კონსულტაციები. საჭირო შემთხვევაში კოოპერატივი დაიცავს აბიტურიენტთა ინტერესებს საპრეტენზიო კომისიასთან.

კოოპერატივში „გამსნილია უცხო ენების შემსწავლელი (ინგლისური, ფრანგული, გერმანული, ესპანური, იტალიური, არაბული, სპარსული, თურქული, ებრაული, ბერძნული) ჯგუ. ები. სწავლა სამეურნეო ანგარიშზეა. თანხის გადახდა ხდება როგორც ორგანიზაციის დაფინანსებით, ასევე ინდივიდუალური გზით. გაცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა, 18-დან 21 საათამდე.

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. № 138, ტალინგის ტრანსპორტის ტექნიკუმის შენობა.

ქ. თბილისი, №-10 საშუალო სკოლა, ოქტომბრის ქ. № 189.

ყურადღება!

გაზეთ „ახალგაზრდა იმერიელში“ და სატელევიზიო პროგრამა „ილუზიონში“ რეკლამები შეგიძლიათ შეუკვეთოთ ტელეფონზე: 37-58-25; მისამართი: ბუდაპეშტის № 1. (11.00 სთ-დან 17.00 სთ-მდე).

ფირმა „არგო“-ს სარეკლამო სააგენტო

ახალგაზრდა იმერიელი

Общественно - политическая молодежная газета «Ахалгазрда Имерели»

ტელეფონები: მისაღები — 98-97-81; პასუხისმგებელი მდივანი — 98-81-56; წერილების განყოფილება — 99-00-49.

გაზეთი გამოდის კვირაში სამჯერ სამშაბათს, სამშაბათს, შაბათს.

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს უკან არ უბრუნდებათ.

საქართველოს კპ ცკ-ის სტამბა 380096, თბილისი-96, მ. კოსტავას ქ. № 14, ოფსეტური წესით სოგაზეთი კორპუსში, სოშორიულის № 29 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, 14, 15 Наш индекс 66400

რედაქტორი ფერაბ ბალარაჯიშვილი

რედაქციის მისამართია ქ. თბილისი — 380096. მ. კოსტავას ქ. № 14.